საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქნა„ ტელ: 72 17 48, ფაქსი: 72 17 48, E-mail:ecoegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ ___ 175 ___

"__08__" ____12 ____ 2005 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის კატეგორია – პირველი
2. პროექტის დასახელება – ქართულ – თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"-ს სამშენებლო ობიექტის გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაცია
3. ინვესტორის დასახელება და მისამართი – ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"
   ქ. თბილისი, ი. ნიკოლაძის ქ. №6
4. განხორციელების ადგილი – კასპის რაიონი, სოფ. აღაიანი
5. განაცხადის შემოსვლის თარიღი - 03.08.05
6. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – ქართულ-თურქული კომპანია „ბლექ სი გრუპი", რ. ცხვიტავას კონსულტაციით

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ასფალტო ბეტონის ქარხნის გარემოსდაცვითი დოკუმენტაცია.

პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების, მოსალოდნელი ემისიების, მათი სახეობების აღწერას და პარამეტრების გათვლებს. დახასიათებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროები, დამაბინძურებელი ნივთიერებების თვისებები, ტოქსიკურობა და ზღვრული დასაშვები კონცენტრაციები, გაფრქვევის სიმძლავრეები, საშიშროების კლასი.

საწარმოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ასფალტობეტონის მომზადება და მდ. ქსნის კალაპოტიდან ამოღებული ინერტული მასალის დამუშავება სამსხვრევ დამხარისხებელ დანადგარზე.

სამშენებლო ობიექტი მდებარეობს კასპის რაიონის, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისი-სენაკი ლესელიძის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, მდ. ქსნის მარჯვენა სანაპიროზე.

საწარმოს უჭირავს დაახლოებით 90 000 $მ^2$ მიწა. მის სიახლოვეს განლაგებულია ორი, საშუალო სიმძლავრის ასფალტობეტონის ქარხნები, რომელიც მოსახლეობიდან დაშორებულია 1კმ-ით.

საწარმო გეგმავს წელიწადში 300 000ტ. ასფალტობეტონის წარმოებას, მათ შორის 150 000ტ. იქნება ცხელი, წვრილმარცვლოვანი, მკვრივი, გზის ზედა ფენის მოსაწყობად, ხოლო 150 000ტ. იქნება ცხელი, მსხვილმარცვლოვანი, ფორიანი, გზის ქვედა ფენის მოსაწყობად. ამ მიზნით საწარმოში დამონტაჟებული იქნება სამსტადიანი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი, რომლის გამოყენებითაც მოხდება კარიერზე მოპოვებული ინერტული მასალების გადამუშავება და დახარისხება. ასფალტის წარმოებისათვის დამონტაჟდება „CESAN“ ტიპის დანადგარი, რომელიც დოკუმენტაციის თანახმად ხასიათდება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მნიშვნელოვნად შემცირებული მაჩვენებლებით. საწარმო ასევე გეგმავს 500 000ტ. ქვიშა-ღორღის გამოშვებას.

საწარმოს ელექტროენერგია არ გააჩნია, ამიტომ დამონტაჟდება 810კვტ/სთ სიმძლავრის ორი დიზელგენერატორი, რომლებიც ასევე ამერიკული წარმოებისაა. ისინი აღჭურვილი არიან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შემამცირებელი საშუალებებით და ხმაურის დონე არ აღემატება 30დბ-ს.

პროექტით გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

ექსპერტიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები ძირითადად ეხება საკითხებს, რომელსაც უნდა შეიცავდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი“-ს არ წარმოუდგენია, რადგან იგი გათავისუფლებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარმოდგენისაგან, საქართველოს მთავრობის განკარგულების №506; 17.11.05 საფუძველზე.

III. შენიშვნები

1. დამუშავდეს და დამტკიცდეს გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მითითებით;
2. დადგინდეს სანიტარულ-დამცავი ზონების საზღვრები;

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;

2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

V. დასკვნა

ქართულ - თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, კასპის რაიონ სოფ. აღაიანში სამშენებლო ობიექტის გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადად განისაზღვროს 10 წელი მისი გაცემის თარიღიდან.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე

ნ. ხეცურიანი

(სახელი, ვვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00027

კოდი M D 1 „ 13 “ „ ივნისი “ 2006 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"
2. საქმიანობის მიზანი	ასფალტო-ბეტონის ქარხნის საქმიანობა
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	კასპის რაიონი, სოფ. ალაიანი
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	პროექტი
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტ. დასკვნა № 175; 08.12.05
7. ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს სახელმწიფო ეკოლოგ. ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწ. მოთხოვნების აუც. შესრულების პირობით

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი [illegible]

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
204861943

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები“
„ს.ფ.ს“ რეგისტრაციის №2-0360

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 452

ქ. თბილისი "07" 06 2006 წ.

ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"-ზე
გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 და მე-3 მუხლის 1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ასფალტო-ბეტონის ქარხნის საქმიანობაზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №175; 08.12.05წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კვაშილავას მოხსენებითი ბარათი

მინისტრი გ. პაპუაშვილი